25.11.2013
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტზე

28-29 ნოემბერი, 2013

I. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტი

II. მოკლე ინფორმაცია „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ

III. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე

IV. ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობის თაობაზე ჩარჩო-შეთანხმება

V. სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია

VI. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის პარალელურად დაგეგმილი სხვა ღონისძიებები

VII. საქართველო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტზე *(გამოხმაურებები)*

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტი

2013 წლის 28-29 ნოემბერს ლიტვის რესპუბლიკის დედაქალაქი ვილნიუსი უმასპინძლებს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მესამე სამიტს.

სამიტში მონაწილეობას მიიღებენ ევროკავშირის ინსტიტუტების უმაღლესი წარმომადგენლები, ევროკავშირის წევრი და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების[1] სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურები.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტებზე განიხილება პარტნიორობის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული საკითხები, წინა სამიტის შემდგომ პარტნიორი ქვეყნებისა და ევროკავშირის თანამშრომლობის კუთხით არსებული მიღწევები და დაისახება მომავალი ორი წლის გეგმები. სამიტის შემდეგ შემუშავდება ერთობლივი დეკლარაცია (Joint Declaration), რომელიც ასახავს ევროკავშირისა და ექვსი პარტნიორი ქვეყნის საერთო ფასეულობებსა და პრინციპებს.

იმის გათვალისწინებით, რომ „ვილნიუსის სამიტზე“ რამდენიმე პარტნიორი ქვეყანა წარმოაჩენს ევროკავშირთან დაახლოების კუთხით მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს, მას უწოდებენ, ე.წ. „შედეგების სამიტს“ (“Delivery Summit”). ვილნიუსის სამიტს საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის ისტორიული დატვირთვა გააჩნია.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტის მნიშვნელოვანი ღონისძიებები

<u>27 ნოემბერი</u>

19:00 - არაფორმალური სადილი;

<u>28 ნოემბერი</u>

09:00-12:00 - საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ტექნიკური პარაფირება

<u>29 ნოემბერი</u>

09:00 - საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ოფიციალური პარაფირება;

ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობის თაობაზე ჩარჩო შეთანხმების ხელმოწერა;

10:15 - პლენარული სესია

13:45 - პრეს-კონფერენცია; სადილი

15:00 - ეროვნული პრეს-კონფერენცია

[1] აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა

სამიტზე საქართველო და ევროკავშირი მოახდენენ „ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირებას.“ ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე სამწლიანი მოლაპარაკებები დასრულდა 2013 წლის ივლისში. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას და შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. შეთანხმების ტექნიკურ პარაფირებას 28 ნოემბერს მოახდენენ საქართველოს მხრიდან: მოლაპარაკებებზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ბ-ნი დავით ზალკალიანი და ღრმა და ყოვლისმომცველ ვაჭრობის სივრცეზე მთავარი მომლაპარაკებელი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, ბ-ნი მიხეილ ჯანელიძე; ხოლო, ევროკავშირის მხრიდან, მოლაპარაკებებზე ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი, საგარეო ქმედებათა ევროპული სამსახურის, რუსეთის, „აღმოსავლეთ პარტნიორობის", ცენტრალური აზიის, რეგიონული თანამშრომლობისა და ეუთო-ს დირექტორატის ხელმძღვანელი, ბ-ნი გუნარ ვიგანდი და DC FTA-ზე ევროკავშირის მხრიდან მთავარი მომლაპარაკებელი, ევროკომისიის ვაჭრობის საკითხებში გენერალური დირექტორატის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამსახურის უფროსის მოადგილე ბ-ნი ფილიპ კუისონი.

29 ნოემბერს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტზე, ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირების ოფიციალურ ცერემონიალზე, შეთანხმების პარაფირებას მოახდენს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ქ-ნი მაია ფანჯიკიძე.

გარდა ამისა, ვილნიუსის სამიტის ფარგლებში, 29 ნოემბერს იგეგმება „ევროკავშირის სამოქალაქო მისიებსა და სამხედრო ოპერაციებში საქართველოს ჩართვის თაობაზე“ ჩარჩო შეთანხმების ხელმოწერა. შეთანხმება საშუალებას მისცემს საქართველოს ჩაერთოს ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში და ამ გზით, ევროკავშირთან ერთად თავისი წვლილი შეიტანოს მსოფლიოში უსაფრთხოების ხელშეწყობის პროცესში. შეთანხმებას საქართველოს მხრიდან ხელს მოაწერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ქ-ნი მაია ფანჯიკიძე, ხოლო ევროკავშირის მხრიდან, საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ქ-ნი ქეთრინ ეშტონი.

საქართველომ ასევე, მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ შესრულების კუთხით, რაც სამიტზე დადებითად იქნება შეფასებული.

გარდა ამისა, სამიტზე დაფიქსირდება საქართველოს მიერ ევროკავშირთან სხვა პრიორიტეტულ სფეროებში, განსაკუთრებით, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და განათლების სფეროში, დაახლოების მიმართულებით მიღწეული პროგრესიც.

სამიტის დეკლარაცია მიღწეული პროგრესის შეფასებასთან ერთად, განსაზღვრავს ევროკავშირთან თანამშრომლობის განვითარების სამომავლო პრიოტიტეტს.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტის პარალელურად ასევე, დაგეგმილია საპარლამენტო ფორუმის (27-28 ნოემბერი); ბიზნეს ფორუმისა (28 ნოემბერი) და სამოქალაქო საზოგადოების კონფერენციის „აღმოსავლეთ პარტნიორობა: პოლიტიკური გამოწვევები და სამომავლო დღის წესრიგი სამოქალაქო საზოგადოებისთვის“ (27-29 ნოემბერი) გამართვა.

დამატებითი ინფორმაცია და პროგრამა [2]

საყურადღებო ინფორმაცია ჟურნალისტებისა და მედიისთვის

[2] გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ინფორმაცია და პროგრამა შეიძლება შეიცვალოს

მოკლე ინფორმაცია „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ

,,აღმოსავლეთ პარტნიორობა“, როგორც ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპულ მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა) თანამშრომლობის ფორმატი, წარმოადგენს შვედეთისა და პოლონეთის ინიციატივას. მისი მთავარი მიზანია, ევროპელ პარტნიორებთან მიმართებაში, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) განხორციელების ხელშეწყობა და მისი აღმოსავლეთ განზომილების გაძლიერება. აღსანიშნავია, რომ მოცემული ინიციატივა ამ ქვეყნებს, ევროკავშირთან მნიშვნელოვნად დაახლოების მიზნით, კონკრეტულ მექანიზმებს სთავაზობს და ახალ შესაძლებლობებს უხსნის.

2008 წლის 3 დეკემბერს ევროკომისიამ გამოაქვეყნა კომუნიკაცია ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ, რომელიც ევროპული საბჭოს სხდომაზე 2009 წლის 19 მარტს დამტკიცდა.

„აღმოსავლეთ პარტნიორობა” კონკრეტულ მიზნად ისახავს შესაბამისი პარტნიორი ქვეყნების ხელშეწყობას, მიაღწიონ ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. ასევე, ის ითვალისწინებს მობილურობის გაძლიერებას და მომზადებულ პარტნიორ ქვეყნებთან ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ეტაპობრივ გაუქმებას, შესაბამისი სამოქმედო გეგმის აღსრულების გზით, კარგად მართული და უსაფრთხო გარემოს პირობებში.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში თანამშრომლობა ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში მიმდინარეობს. ორმხრივი ფორმატი, ევროკავშირისა და კონკრეტული პარტნიორი ქვეყნის თანამშრომლობის წარმართვასა და არსებული პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებას ემსახურება. მრავალმხრივ ფორმატში, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მონაწილე ქვეყნები, ძირითადად, ოთხი თემატური პლატფორმის ფარგლებში თანამშრომლობენ [*(1) „დემოკრატია, ეფექტური მმართველობა და სტაბილურობა“; (2) „ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან დაახლოება“; (3) „ენერგოუსაფრთხოება“; (4) „ხალხთა შორის კონტაქტები“*].

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში ტარდება ყოველწლიური მინისტერიალი, ევროკავშირის წევრი და აღმოსავლეთ ევროპელი პარტნიორი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით. სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურთა დონის სამიტი კი, ორ წელიწადში ერთხელ იმართება ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის დედაქალაქში.

2009 წლის 7 მაისს, ჩეხეთმა, როგორც ევროკავშირის იმჟამინდელმა თავმდჯომარე ქვეყანამ, ქ. პრაღაში, ‘‘აღმოსავლეთ პარტნიორობის’’ პირველ სამიტს უმასპინძლა.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მეორე სამიტი გაიმართა პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში, 2011 წლის 29-30 სექტემბერს.

2012 წლის 15 მაისს ევროკავშირმა გამოაქვეყნა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საგზაო რუკა. საგზაო რუკა შემუშავდა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვარშავის სამიტის გადაწყვეტილებით და წარმოადგენდა ინიციატივის განხორციელების თვალსაზრისით სახელმძღვანელო დოკუმენტს ვილნიუსის სამიტამდე. საგზაო რუკა ასევე, პრაქტიკული ინსტრუმენტია „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ განხორციელების მონიტორინგისა და მიღწეული პროგრესის შეფასებისათვის.

2013 წლის 28-29 ნოემბერს, ლიტვის დედაქალაქი ვილნიუსი, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მესამე სამიტს უმასპინძლებს.

საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება

(მოკლე ინფორმაცია)

ზოგადი ინფორმაცია

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ე.წ. "ახალი თაობის" შეთანხმებაა, რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, ითვალისწინებს ევროკავშირთან (და მის კანონმდებლობასთან) დაახლოების მნიშვნელოვან და რეალურ მექანიზმებს.

ასოცირების შესახებ შეთანხმება ჩაანაცვლებს 1996 წელს ხელმოწერილ „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას" (PCA) და შექმნის საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ახალ სამართლებრივ ჩარჩოს. PCA-სთან შედარებით, ასოცირების შესახებ შეთანხმება ყოვლისმომცველი და პოლიტიკურად და შინაარსობრივად უფრო ძლიერი დოკუმენტია, რომელსაც თვისობრივად ახალ დონეზე აჰყავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა ყველა პრიორიტეტული მიმართულებით.

ასოცირების შესახებ შეთანხმება არ გულისხმობს ევროკავშირში გაწევრიანებას, თუმცა შეთანხმება ევროკავშირთან და მის კანონმდებლობასთან (acquis) დაახლოების იმდენად მაღალ დონეს ითვალისწინებს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება ფაქტობრივად შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალური მექანიზმია.

ამდენად, მნიშვნელოვანი იქნება შეთანხმების სათანადოდ აღსრულება, რაც გულისხმობს აღებული ვალდებულებების მიხედვით საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას და მის განხორციელებას, ასევე საქართველოს შესაბამისი ინსტიტუტების გაძლიერებას. ასოცირების შესახებ შეთანხმების ეფექტიანი შესრულების ხელშეწყობის მიზნით, უმნიშვნელოვანესია ევროკავშირის მხრიდან ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის და ინსტრუმენტების დროული ამოქმედება, რაც ასევე, გათვალისწინებულია შეთანხმებით.

აღსანიშნავია, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას, რომელიც იმთავითვე ინფორმირებული იყო ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების პროცესის თაობაზე.

მოლაპარაკებების მიმდინარეობა

საქართველოსა და ევროკავშირს შორის მოლაპარაკებები ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ოფიციალურად დაიწყო 2010 წლის ივლისში *(ხოლო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტზე- 2011 წლის დეკემბერში).* მოლაპარაკებების პროცესში გაიმართა 14 პლენარული სესია შეთანხმების პოლიტიკურ ნაწილზე, 6 რაუნდი - ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე და 100-მდე ვიდეო-კონფერენცია დარგობრივი თანამშრომლობის თავებსა და DC FTA-ზე. მოლაპარაკებები დასრულდა 2013 წლის ივლისში.

ასოცირების შესახებ შეთანხმება 1000-მდე გვერდს მოიცავს და ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან.

შეთანხმების სტრუქტურა

ასოცირების შესახებ შეთანხმება პირობითად შეგვიძლია სამ ნაწილად დავყოთ: **პოლიტიკური თანამშრომლობა; დარგობრივი თანამშრომლობა** და **ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე (DC FTA).**

შეთანხმება გახსნის თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- **საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა;** დემოკრატიის და კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ერთგულება და გავრცელება; საერთაშორისო სამართლის პრინციპების, მათ შორის სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორული მთლიანობის პატივისცემა; კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა.
- **საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა;** პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავება მოხდება ისეთ სფეროებში, როგორიც არის შიდასახელმწიფოებრივი რეფორმა, საერთაშორისო მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, რეგიონული სტაბილურობა და სხვა.
- **მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება,** მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საზღვრის მართვა, ფულის გათეთრების, ტერორიზმის, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის; ორგანიზებული დანაშაულისა და ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა.
- **მოქალაქეთა მობილურობის ხელშეწყობა, მათ შორის, შესაბამის ეტაპზე უვიზო რეჟიმის შემოღება კარგად მართულ და უსაფრთხო გარემოში.** აღნიშნული მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ ეფექტიანი შესრულება.
- **დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა,** მაგ. ისეთ სფეროებში, როგორიც არის ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, კვლევა და ტექნოლოგიები, დასაქმება და სოციალური

პოლიტიკა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სამოქალაქო საზოგადოება, რეგიონული განვითარება და სხვა.

- **ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები,** რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DC FTA) ჩამოყალიბებას. ასოცირების შესახებ შეთანხმებაში DC FTA წარმოადგენს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს. DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ფორმირება გზას უხსნის საქართველოს საქონელსა და მომსახურებას ევროკავშირის შიდა ბაზარზე და ხელს შეუწყობს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდას.

ჩვეულებრივი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისგან (free trade agreement) განსხვავებით, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე გულისხმობს როგორც სატარიფო, ასევე არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრას და არეგულირებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ.: სურსათის უვნებლობა, პროდუქტის უსაფრთხოება, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვები, და სხვა). სხვა ვაჭრობის შეთანხმებებისგან განსხვავებით, DC FTA გულისხმობს ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების

საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს:

- ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას;
- გამჭვირვალე, სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას;
- საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ზრდას;
- ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას;
- ადგილობრივი წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას;
- ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასა და გაფართოებას;
- ქართველი ექსპორტიორებისთვის ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას,
- ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას;
- სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად;
- ზოგადად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და ადმინისტრირების მექანიზმებთან. *(წინასწარ შეთანხმებული განრიგის მიხედვით).*

შეთანხმების პარაფირება, დროებითი გამოყენება და ძალაში შესვლა

ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება იგეგმება „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტზე მ.წ. 28-29 ნოემბერს. პარაფირების შემდეგ, შეთანხმების ხელმოსაწერად მოსამზადებლად, შიდა პროცედურების გათვალისწინებით, ევროკავშირის მხარეს დაახლოებით 1 წელი სჭირდება. შესაბამისად, შეთანხმების ხელმოწერა სავარაუდოდ, მოხდება 2014 წლის შემოდგომაზე. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, მის ძალაში სრულად შესასვლელად საჭიროა შეთანხმების რატიფიცირება საქართველოს პარლამენტის, ევროპარლამენტის და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული პარლამენტების მიერ. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, მის ძალაში სრულად შესვლამდე, მოხდება ევროკავშირის კომპეტენციაში შემავალი თავების დროებითი გამოყენება (provisional application). დროებითი გამოყენება შეეხება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების ნაწილს *(საქონლით და მომსახურებით ვაჭრობა, სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმები, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, კონკურენციის პოლიტიკა და სხვა)* ასევე, დარგობრივი თანამშრომლობის თავებს *(მაგ. ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა და სხვა)* და შეთანხმების რამდენიმე სხვა მუხლს. საერთო ჯამში, ძალაში სრულად შესვლამდე, შეთანხმების უდიდესი ნაწილი ამოქმედდება დროებით. შეთანხმების დროებითი გამოყენება მოხდება ევროკავშირის საბჭოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისა და საქართველოს პარლამენტის მიერ შეთანხმების რატიფიცირების შემდეგ.

ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობის თაობაზე ჩარჩო-შეთანხმება

ევროკავშირთან ურთიერთობების პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამშრომლობას ***ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP)***[3] *სფეროში.*

აღნიშნული საკითხი წარმოადგენს, ასევე, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. სწორედ ამის საფუძველზე, 2007 წლიდან შესაძლებელი გახდა, რომ საქართველო მიერთებოდა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკურ განცხადებებს. ამ კუთხით, საქართველოს საკმაოდ დადებითი სტატისტიკა აქვს და უერთდება ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში გაკეთებულ განცხადებების/დეკლარაციების უმეტესობას.

საგულისხმოა, რომ ამ პოლიტიკის ფარგლებში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის **ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP)** სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, მათ შორის ევროკავშირის კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობის გზით, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ასოცირების შესახებ შეთანხმებაშიც.

აღსანიშნავია, რომ საქართველო წარმოადგენს ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში მისიების ბენეფიციარს: 2004-2005 წწ. საქართველო გახდა ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის EUJUST THEMIS პირველი მიმღები ქვეყანა; ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ქვეყანაში ფუნქციონირებს ევროკავშირის მონიტორინგის მისია (EUMM).

ამასთანავე, საქართველოს მიზანია, წვლილი შეიტანოს მსოფლიო უსაფრთხოებაში, მათ შორის ევროკავშირის კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში მონაწილეობის გზით. ამ მხრივ, 1999 წლიდან საქართველოს საკმაოდ კარგი გამოცდილება დაუგროვდა საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობით *(ბალკანეთი; სპარსეთის ყურე; ავღანეთი).* ნატო-ს სამშვიდობო მისიებში წარმატებით მონაწილეობის გათვალისწინებით, საქართველოს ჩართვა ევროკავშირის კონფლიქტის პრევენციისა და კრიზისის მართვის ოპერაციებში, ორივე მხარისთვის მომგებიანი იქნება.

ევროკავშირის აღნიშნულ მისიებში მონაწილეობისათვის აუცილებელია ევროკავშირის მისიებში მონაწილეობის თაობაზე ჩარჩო შეთანხმების ხელმოწერა, რაც იგეგმება მ.წ. 29 ნოემბერს

[3] ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP) არის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) ნაწილი და მის ფარგლებში არის შემუშავებული.

ვილნიუსის სამიტის ფარგლებში, ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს მ.წ. 18 ნოემბრის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე. ჩარჩო შეთანხმების ხელმოწერით, საქართველო, ამ მიმართულებით ბენეფიციარის პოზიციიდან, ევროკავშირთან პარტნიორულ ურთიერთობაზე გადავა. შესაბამისად, ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომლობის ამგვარი გაღრმავება ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს.

მოლაპარაკებები შეთანხმების ტექსტზე მიმდინარეობდა 2012 წლის ნოემბრიდან 2013 წლის ივლისამდე. პარალელურად, საქართველომ ევროკავშირისგან უკვე მიიღო მიწვევა რამდენიმე ახალ მისიაში მონაწილეობის მისაღებად, მათ შორის აფრიკის რქის ქვეყნებში საზღვაო მისიაში EUCAP NESTOR; მალის სამხედრო ტრეინიგის მისიაში EUTM Mali; და ლიბიის საზღვრის მართვის მისიაში EUBAM Libya. საქართველოს მთავრობამ ევროკავშირის მიწვევაზე პრინციპული თანხმობა განაცხადა.

მისასალმებელია ახლახანს (18-19 ნოემბერს) ლიტვის, გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთისა და უნგრეთის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას „სატრასტო ფონდის“ შექმნის თაობაზე, რომელიც ფინანსურ მხარდაჭერას აღმოუჩენს ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (Common Security and Defence Policy) ოპერაციებში ჩართულ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებს. სამომავლოდ, სატრასტო ფონდს ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნებიც შეუერთდებიან.

შენიშვნა: ფონდის დაარსება ევროკავშირის საბჭოს ამჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყნის - ლიტვის მიერ დღის წესრიგში დაყენებული ერთ-ერთი იმ საკითხთაგანია, რომლებიც აღმოსავლეთ პარტნიორებთან პრაქტიკული თანამშრომლობის გაძლიერებას ემსახურება.

ევროკავშირთან სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების თვალსაზრისით მიღწეული პროგრესი

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა საქართველო-ევროკავშირის სავიზო დიალოგის საფუძველია. საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით აღსრულების, ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის გაუქმების გავლენის შეფასებისა და შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, შესაძლებელი ხდება საქართველოს მოქალაქეებისთვის მომავალში ევროკავშირის სივრცეში (შენგენის ქვეყნებში) უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედება. ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი წარმოადგენს ხელშესახებ მიღწევას ევროინტეგრაციის კონტექსტში, ასევე, ხალხთაშორის კონტაქტების გაფართოების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

სამოქმედო გეგმა შედგება ორი ფაზისაგან (საკანონმდებლო და განხორციელების) და მისი იმპლემენტაცია უკავშირდება რეფორმების გატარებას ოთხი სტანდარტული ბლოკით გათვალისწინებულ სფეროებში, კერძოდ:

- დოკუმენტების უსაფრთხოება;
- საზღვრის მართვა, მიგრაციის პოლიტიკა, თავშესაფარი;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება;
- საგარეო ურთიერთობები და ადამიანის ძირითადი უფლებები.

საქართველო–ევროკავშირის სავიზო დიალოგი ოფიციალურად გაიხსნა 2012 წლის 4 ივნისს, ხოლო სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა საქართველოს 2013 წლის 25 თებერვალს გადმოეცა.

ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ევროკომისიის პირველ ანგარიშში, რომელიც მ.წ.15 ნოემბერს გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ საქართველომ სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი ფაზის მოთხოვნების განხორციელების თვალსაზრისით ძალიან კარგ პროგრესს მიაღწია.

საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი ევროკომისიამ 10-11 ოქტომბერს თბილისში განხორციელებული ევროკავშირის ექსპერტთა მისიისა და ქართული მხარის მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე შეაფასა.

ასევე, მხედველობაში იქნა მიღებული სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის ერთობლივი კომიტეტების: სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების ქვეკომიტეტისა და ადამიანის უფლებათა დიალოგის შედეგები. საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა თითოეული ამ ფორმატის ფარგლებში წარმატებულად შეფასდა.

ევროკომისია მიიჩნევს, რომ დოკუმენტების უსაფრთხოებისა და საზღვრის მართვის სფეროში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მხრივ, საქართველო უკვე დასკვნით ეტაპზეა. ანგარიშის თანახმად, საქართველო, ასევე, წარმატებულია იმ ვალდებულებების შესრულების კუთხით, რომლებიც უკავშირდება მიგრაციის მართვას, თავშესაფრის პოლიტიკას, საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას, საგარეო ურთიერთობებსა და ადამიანის ძირითად უფლებებს.

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ევროკომისია გააგრძელებს სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის საკითხში საქართველოს მხარდაჭერას და აქტიურად განახორციელებს გეგმის ოთხივე ბლოკით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მონიტორინგს.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტის პარალელურად დაგეგმილი ღონისძიებები

2013 წლის 27-28 ნოემბერი

საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეთა სხდომა და დემოკრატიის საპარლამენტო ფორუმი „პარლამენტები დემოკრატიისთვის: უფრო ამბიციური გლობალური თანამშრომლობისკენ“

2013 წლის 28 ნოემბერი

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მე-2 ბიზნეს ფორუმი

2013 წლის 27-29 ნოემბერი

სამოქალაქო საზოგადოების კონფერენციის „აღმოსავლეთ პარტნიორობა: პოლიტიკური გამოწვევები და სამომავლო დღის წესრიგი სამოქალაქო საზოგადოებისთვის“

საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეთა სხდომა და დემოკრატიის საპარლამენტო ფორუმი „პარლამენტები დემოკრატიისთვის: უფრო ამბიციური გლობალური თანამშრომლობისკენ“

2013 წლის 27-28 ნოემბერს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტის ფარგლებში საპარლამენტო ფორუმი გაიმართება.

ლიტვის სეიმი უმასპინძლებს ევროკავშირის ქვეყნების პარლამენტების საგარეო საქმეთა კომიტეტების თავმჯდომარეთა შეხვედრას და დემოკრატიის საპარლამენტო ფორუმს „პარლამენტები დემოკრატიისთვის: უფრო ამბიციური გლობალური თანამშრომლობისკენ“.

სხდომას დაესწრებიან ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და კანდიდატი ქვეყნების პარლამენტარები, ევროპის პარლამენტის წევრები, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შესაბამისი წარმომადგენლები და დემოკრატიის საპარლამენტო ფორუმის წევრები; ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საგარეო საქმეთა კომიტეტების თავმჯდომარეები და ადამიანის უფლებათა დამცველები როგორც ევროპიდან, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სხდომაზე განხილული იქნება ვილნიუსის სამიტამდე აღმოსავლეთ პარტნიორობის გარშემო შექმნილი ვითარება და გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნების მიერ მიღებული გამოცდილება.

საპარლამენტო ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართავენ ლიტვის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი *ლინას* ლინკევიჩუსი; ევროპის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ელმარ ბროკი და მოლდოვას რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერი იგორ კორმანი. თავიანთ გამოსვლებში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პარლამენტების საგარეო საქმეთა კომიტეტების თავმჯდომარეები ისაუბრებენ თავიანთი ქვეყნების პოზიციებზე.

საქართველოდან სხდომაზე სიტყვით გამოვა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე. ფორუმში აგრეთვე მონაწილეობას მიიღებენ საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლები.

სხდომის მეორე სესია დაეთმობა გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნების მიერ მიღებულ გამოცდილებას. პოლიტიკოსები და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები დებატებს გამართავენ დემოკრატიული განვითარების საკითხებსა და იმ გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც დგანან ის ქვეყნები, რომლებიც დემოკრატიული რეფორმების გზას ადგანან.

[დამატებითი ინფორმაცია](#) [4]

[4] გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გვერდი შესაძლოა განახლდეს

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მეორე ბიზნეს ფორუმი

2013 წლის 29 ნოემბერს გაიმართება „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ბიზნეს ფორუმი, რომელიც თავს მოუყრის ხელისუფლებისა და ბიზნეს წრეების წარმომადგენლებს. ფორუმის მონაწილეები განიხილავენ სტრატეგიულ საკითხებს, კერძოდ ვაჭრობის შემდგომი გაფართოების, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტიმულირებისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით ინფრასტრუქტურის განვითარების ასპექტებს.

ბიზნეს ფორუმზე საქართველოს დელეგაციას უხელმძღვანელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ბ-ნი გიორგი კვირიკაშვილი.

[დამატებითი ინფორმაცია და პროგრამა](#) [5]

[5] გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ინფორმაცია შესაძლოა განახლდეს

სამოქალაქო საზოგადოების კონფერენციის „აღმოსავლეთ პარტნიორობა: პოლიტიკური გამოწვევები და სამომავლო დღის წესრიგი სამოქალაქო საზოგადოებისთვის“

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტის ფარგლებში დაგეგმილია სამოქალაქო საზოგადოების კონფერენციის „აღმოსავლეთ პარტნიორობა: პოლიტიკური გამოწვევები და სამომავლო დღის წესრიგი სამოქალაქო საზოგადოებისთვის“ (27-29 ნოემბერი) გამართვა.

ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისა და ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები, რეგიონული და ტრანსატლანტიკური არასამთავრობო ორგანიზაციების წამყვანი ექსპერტები, ანალიტიკური ცენტრების, საერთაშორისო დახმარების სააგენტოებისა და პოლიტიკური ფონდების წარმომადგენლები, ასევე, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები და საზოგადოებრივი აქტივისტები. კონფერენციის მონაწილეები განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებენ იმ ძირითად გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც დგას სამოქალაქო საზოგადოება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში; სხდომაზე განხილული იქნება ამ ქვეყნებში სამოქალაქო სექტორის ქმედუნარიანობის გაზრდისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მათი ჩართულობის უზრუნველყოფის გზები.

სხდომაზე, ასევე, განხილულ იქნება „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სტრატეგია და სამოქალაქო საზოგადოების როლი ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერის პროცესში, *ღრმა* და ყოვლისმომცველი *თავისუფალი* სავაჭრო სივრცის ჩათვლით.

აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ცენტრის მიერ ორგანიზებული კონფერენცია გაიმართება აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმთან თანამშრომლობაში და ევროკომისიის, ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდი*ს* (NED) ხელშეწყობით.

საქართველოდან მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებენ ოცდაათამდე სამოქალაქო საზოგადოების ლიდერი, არასამთავრობო ორგანიზაციების წამყვანი ექსპერტი, ანალიტიკური ცენტრების, საერთაშორისო დახმარების სააგენტოებისა და პოლიტიკური ფონდების წარმომადგენლები. მათ შორის მონაწილეობენ: მანანა ქოჩლაძე („აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული კოორდინატორი, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“-ს დირექტორი); გია ნოდია (საერთაშორისო კრიზისების ჯგუფი - საქართველო); ეკა გიგაური (საერთაშორისო გამჭირვალობა -

საქართველო); თამარ პატარაია (მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი); ივანე ჩხიკვაძე (ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო); ლაშა ტუღუში (პრესის ასოციაცია); ეკატერინე ფოფხაძე (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) და სხვა.

[დამატებითი ინფორმაცია](#) [6]

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის ფარგლებში დაგეგმილ სადილებზე მონაწილეებს ქართული ღვინით და სასმელებით გაუმასპინძლდებიან

საქართველოს მთავრობამ ლიტვის ევროკავშირის თავმჯდომარეობას საჩუქრად გადასცა ღვინო, ჭაჭა და ბრენდი ეტიკეტზე სპეციალური წარწერით: “Georgia Welcomes The Lithuanian EU Presidency 2013” ("საქართველო მიესალმება ევროკავშირის ლიტვის თავმჯდომარეობას 2013”).

29 ნოემბერს, სადილზე, რომელიც ვილნიუსის LitExpo-ს საგამოფენო დარბაზში გაიმართება, ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმაღლეს წარმომადგენლებთან ერთად, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მონაწილე ქვეყნების ხელისუფლებათა უმაღლესი და მაღალი რანგის პირები დაესწრებიან.

LitExpo-ში ასევე მოეწყობა ქართული კუთხე, სადაც ქართულ ეროვნულ სამოსში ჩაცმული გოგონები მონაწილეებს ქართული სასმელებით გაუმასპინძლდებიან, მიაწვდიან ინფორმაციას საქართველოსა და ქართული ღვინის შესახებ; იქვე განთავსდება ბროშურები საქართველოს შესახებ და სუვენირები; სტუმრები დააგემოვნებენ ქართულ მინერალურ წყალს "ბორჯომს".

ლიტვის ევროკავშირის თავმჯდომარობისთვის ქართულმა მხარემ მიაწოდა „შატო მუხრანის“, „თელედას“ „ხარებას“, „თელავის ღვინის მარანის“, „თელიანი ველის“, „სარაჯიშვილის“, „ქინძმარაულის მარანის“, „ბორჯომის“ ნაწარმი.

ვილნიუსში, საპარლამენტო ფორუმის ფარგლებში გამართულ ოფიციალურ ვახშამზე ასევე წარმოდგენილი იქნება ქართული ალკოჰოლური სასმელები.

[6] გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ინფორმაცია შესაძლოა განახლდეს

„ქართული ხელოვნება ვილნიუსში“

“ქართული ხელოვნება ვილნიუსში“ კულტურული პროგრამა ლიტვის დედაქალაქში გრძელდება. 7 ნოემბრიდან 2013 წლის ბოლომდე, ვილნიუსი ქართულ ხელოვნებას მასპინძლობს. პროგრამა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საელჩოს ორგანიზებით ხორციელდება და მის ფარგლებში ვილნიუსში მრავალფეროვანი კულტურული ღონისძიებები მიმდინარეობს: - კლასიკური მუსიკის კონცერტი; შალვა ალხანაიძის ფოტოგამოფენა „თუშეთის გზაზე“, თანამედროვე მხატვრობის გამოფენა „ზევით-ქვევით“; საქართველოს საგანძურის გამოფენა ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმიდან; ქართული სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავის“ კონცერტი და თანამედროვე ქართული კინოხელოვნება.

22 ნოემბერს ლიტვის ხელოვნების მუზეუმში ქართული განძთსაცავის ექსპონატების გამოფენა გაიხსნა, სადაც ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ანტიკური ხანის ექსპონატები წარადგინეს. 20 ნოემბერს კი შედგა თანამედროვე ქართველი მხატვრის გამოფენა გალერეა „კალნასში“. გახსნას ვილნიუსის მერი, ბ-ნი არტურას ზუოკასი და სხვა საპატიო სტუმრები დაესწრნენ.

28-29 ნოემბრის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტის პარალელურად გამართული ქართული ხელოვნების ღონისძიებები კიდევ ერთი დასტურია საქართველო-ლიტვას შორის მჭიდრო კულტურული და პოლიტიკური კავშირების.

საქართველო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტზე (გამოხმაურებები)

აშშ-ს კონგრესი ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ქვეყნების შესახებ; კრის მერფის და ვიქტორია ნულანდის განცხადებები

2013 წლის 14 ნოემბერს აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში ევროპის საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ **კრის მერფიმ** რუსეთი გააკრიტიკა ზეწოლის გამო, რომელსაც კრემლი ახდენს აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებზე, რომლებიც ევროკავშირისკენ ისწრაფვიან. კომიტეტის მოსმენებზე მან აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის იმ ქვეყნების შესახებ ილაპარაკა, რომლებიც შეიძლება ერთ დღეს ევროკავშირის წევრები გახდნენ:

მერფიმ გააკრიტიკა რუსეთი იმის გამოც, რომ ის კრძალავს ევროპის კავშირთან დაახლოების მსურველთა პროდუქტის იმპორტს, თუმცა მას საქართველო ამ კონტექსტში არ უხსენებია:

„სამწუხაროდ, ამ ვითარებას რუსეთი უნაშთო თამაშად მიიჩნევს და ძლიერ ზეწოლას ახდენს „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ქვეყნებზე, რათა ხელი ააღებინოს ევროკავშირთან ურთიერთობის გაძლიერებაზე. აიკრძალა ღვინის იმპორტი მოლდოვადან, შოკოლადის ნაწარმის - უკრაინიდან, სასუქისა - ბელორუსიდან და ეს სია შეიძლება გავაგრძელოთ. ასეთი ქმედება რუსეთისთვის უსარგებლო და კონტრპროდუქტიულია, რადგან ევროკავშირი დაინტერესებულია თავის საზღვრებთან სტაბილური, წარმატებული მეზობლების ყოლით და რუსეთიც ასევე უნდა იყოს“.

სენატის ქვეკომიტეტის შეხვედრაზე მიწვეული იყო აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ევროპისა და აზიის საკითხებში, **ვიქტორია ნულანდი,** რომელმაც სენატორების შეკითხვებს უპასუხა. ნულანდმა განაცხადა, რომ ვილნიუსის სამიტი უკრაინისთვის, მოლდოვასთვის და საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება მათი ოცნების, ევროპაში სრულად ინტეგრაციის გზაზე განხორციელების გზაზე. მისი თქმით, სამივე სახელმწიფომ რთული სამუშაო გასწია იურიდიული და სამართალდაცვითი სტრუქტურების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებისა და ეკონომიკური და ენერგეტიკული ბაზრების ევროპაში უფრო ფართოდ ინტეგრაციისათვის.

„ქართველებმა, მე ვიტყოდი, დიდი ნახტომი გააკეთეს კორუფციასთან ბრძოლის მხრივ. ამას მიაღწიეს, პირველ რიგში, მცდელობით, ინტერნეტის საშუალებით ხელმისაწვდომი გაეხადათ

ყველა სამთავრობო ხელშეკრულება, რაც აღმოსავლეთის პარტნიორობის სხვა ქვეყნებშიც შეიძლება გაკეთდეს“. - განაცხადა ნულანდმა.

ბმული

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი რუსეთს აფრთხილებს, თავი შეიკავოს საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვაზე ზეწოლისგან

2013 წლის 18 ნოემბერს გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა რუსეთი გააფრთხილა თავი შეიკავოს საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვაზე ზეწოლისგან. მისივე თქმით, ამ სახელმწიფოებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, რამდენად მჭიდროდ უნდათ ევროკავშირთან დაახლოება.

„სახელმწიფოებმა თავად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება თავიანთი განვითარების მომავალ მიმართულებაზე. მესამე პირებს ამაზე ვეტოს უფლება არ აქვთ", - განაცხადა გერმანიის კანცლერმა.

მისივე თქმით, აღმოსავლეთ პარტნიორიობის ქვეყნები მოსკოვის მხრიდან ზეწოლის გამო ევროკავშირთან დაახლოების საკითხში სირთულეებს აწყდებიან.

„ვილნიუსის სამიტზე გამოვალ მოწოდებით, რომ ევროკავშირი წინ აღუდგეს ამ ზეწოლას, კონკრეტული შანსებითა და სოლიდარობით; იქნება ეს პროდუქციის ევროპულ ბაზარზე გატანა, რომელიც რუსულ ბაზარზე აკრძალულია, თუ ენერგომომარაგების სისტემის შემუშავებაში დახმარება", - აღნიშნა ანგელა მერკელმა.

როგორც გერმანიის კანცელერმა აღნიშნა, ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისას კიდევ ერთხელ დაარწმუნა რუსეთის პრეზიდენტი, რომ ევროკავშირთან მოლდოვის, უკრაინისა და საქართველოს ძლიერი კონტაქტები რუსეთის წინააღმდეგ არ არის მიმართული.

ბმული

ევროკავშირი მზად არის ვილნიუსის სამიტზე ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირებისთვის

2013 წლის 25 ოქტომბერს, ევროკავშირის ლიდერებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს მზადყოფნა, რომ მოლდოვასა და საქართველოსთან ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება ნოემბრის ბოლოს ვილნიუსში დაგეგმილ სამიტზე განახორციელონ იმ მიზნით, რომ მისი ხელმოწერა 2014 წლის შემოდგომისთვის შედგეს.

„აღმოსავლეთ პარტნიორობა“ ერთ–ერთი საკითხი იყო, რომელიც ევროპული საბჭოს დღის წესრიგში შევიდა 25 ოქტომბერს.

საბჭომ განაცხადა, რომ ის „ხაზს უსვამს აღმოსავლეთ პარტნიორობის მნიშვნელობას ევროპის კონტიტენტზე დემოკრატიის, კეთილდღეობის და სტაბილურობის ერთიანი სივრცის მშენებლობისთვის“.

24-25 ოქტომბრის ევროპული საბჭოს დასკვნა

ფილიპ დიმიტროვის განცხადება: „ვილნიუსის სამიტი საქართველოს მიღწეული შედეგების აღიარებაა“

2013 წლის 20 ნოემბერს საქართველოში ევროკავშირის ელჩმა ფილიპ დიმიტროვმა განაცხადა, რომ ვილნიუსის სამიტი საქართველოს მიღწეული შედეგების აღიარებაა. როგორც დიმიტროვმა ჟურნალისტებთან შეხვედრებისას განმარტა, საქართველოს ვილნიუსის სამიტის შემდეგ მნიშვნელოვანი ვალდებულებების შესრულება მოუწევს.

,,ვილნიუსის სამიტი, პრაქტიკულად, ეს არის საქართველოს მიღწეული შედეგების აღიარება. ბევრი რამ იქნება გასაკეთებელი სამიტის შემდეგ, მნიშვნელოვანია ვალდებულებების შესრულება, მაგრამ ამის გაკეთებას საქართველო შეძლებს“ - განაცხადა დიმიტროვმა.

მისივე განმარტებით, საქართველომ ბოლო ათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, ჩამოაყალიბა ისეთი ინსტიტუტები, რომელმაც საქართველო ევროკავშირთან დააახლოვა.